შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

,,მარნეულის ორგანული ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმო“ –ს

წ ე ს დ ე ბ ა

მუხლი 1.

ზოგადი დებულებები

1.1. საზოგადოების საფირმო სახელწოდებაა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება **,,მარნეულის ორგანული ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმო“**.

1.2. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება **,,მარნეულის ორგანული ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმო“** (შემდგომში „საზოგადოება“) წარმოადგენს „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე, შექმნილ კერძო სამართლის სამეწარმეო (კომერციულ) პირს, რომლის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. საზოგადოება შექმნილია მოგების მიღების მიზნით, ეწევა სამეწარმეო საქმიანობას ორგანიზებულად და დამოუკიდებლად. მისი პარტნიორია: მარნეულის მუნიციპალიტეტი.

1.3. საზოგადოების იურიდიული მისამართია მარნეული, სოფ.ყიზილაჯლო.

1.4. საზოგადოება, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობას, იურიდიული პირის უფლებებსა და მოვალეობებს იძენს სამეწამეო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

1.5. საზოგადოებას აქვს საკუთარი ბალანსი, ანგარიშსწორების ანგარიშები საბანკო დაწესებულებაში, ბეჭედი და დადგენილი წესით სარეგისტრაციო საფირმო სასაქონლო ნიშნები.

1.6. საზოგადოებას შეუძლია შეიძინოს ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებები, იყოს მოსარჩელე/მოპასუხე სასამართლოში, საკუთარი სახელით დადოს ხელშეკრულებები, გარდა ქონების გასხვისებასთან, სარგებლობის უფლებით გადაცემასთან, საკრედიტო ვალდებულების ან მიზნობრივი სესხების აღებასთან დაკავშირებით, რომელიც საჭიროებს მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის თანხმობას საქართველოს ორგანული კანონით, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ განსაზღვრული წესით.

1.7. საზოგადოების პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი თავისი ქონებით.

1.8. საზოგადოება შექმნილია განუსაზღვრელი ვადით.

1.9. საზოგადოებას შეუძლია პარტნიორთან შეთანხმებით დააარსოს ფილიალი „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 2.

საზოგადოების საქმინაობის სფერო

2.1. საზოგადოება ახორციელებს საქმიანობას შემდეგი მიმართულებით:

ა) ორგანული ნარჩენების გადამუშავება.

ბ) ოგანული სასუქის წარმოება-რეალიზება.

გ) არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოვლა-პატრონობა;

2.2. საზოგადოებას შეუძია დადოს ხელშეკრულება სახელმწიფო, ადგილობრივ და კერძო პირებთან სამუშაოების შესრულებასა და მომსახურეობაზე.

2.3. საზოგადოებას უფლება აქვს მოგების მიღების მიზნით განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა, მიუხედავად, იმისა, არის თუ არა ეს საქმიანობა სადამფუძნებლო დოკუმენტებით გათვალისწინებული. ის საქმიანობა, რომელიც კანონმდებლობით შესაძლებელია მხოლოდ სპეციალური ლიცენზიის/ნებართვის საფუძველზე, დასაშვებია მხოლოდ შესაბამისი ლიცენზიის/ნებართვის მიღების მომენტიდან.

მუხლი 3.

საზოგადოების ქონება

3.1. საზოგადოების ქონება შედგება საზოგადოების პარტნიორის მიერ საზოგადოების დაფუძნებისას საწესდებო კაპიტალში შეტანილი ქონებისაგან, პარტნიორის მიერ საწესდებო კაპიტალის გაზრდის მიზნით შეტანილი შესატანისაგან, შემოწირულობებისა და გრანტებისაგან, საზოგადოების სამეურნეო საქმიანობით მიღებული სხვა შემოსავლებისაგან.

3.2. საზოგადოების საწესდებო კაპიტალი შეადგენს 1099 044,61 (ერთი მილიონ ოთხმოცდაცხრამეტი ათას ორმოცდაოთხი ლარი და სამოცდაერთი თეთრი) ლარს. საზოგადოების დამფუძნებლის მიერ საზოგადოების დაფუძნების საწესდებო კაპიტალში შეტანილი ქონებაა:

ა) 20 000 კვ.მ მიწის ნაკვეთი ღირებულება 120 000 (ასოცი ათასი) ლარი. შპს. აუდიტორული ფირმა ,,ლაზიკა აუდიტი"; დასკვნა #02|21 გაც.07.05.2012წ; დირექტორი–აუდიტორი მ.ზარანდია.

ბ) მიწაზე დამაგრებული ნაგებობა–ორგანული ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმო, რომლის ღირებულება 979044,61 (ცხრაას სამოცდაცხრამეტი ათას ორმოცდაოთხი) ლარი. შპს. აუდიტორული ფირმა ,,ლაზიკა აუდიტი"; დასკვნა #02|21 გაც. 07.05.2012წ; დირექტორი–აუდიტორი მ.ზარანდია.

გ) კომპოსტის გადასაბრუნებელი მექანიკური დანადგარი ღირებულებით 103 345,31 (ასსამიათას სამას ორმოცდახუთი ლარი და ოცდათორმეტი თეთრი)ლარი.

დ) კომპოსტის დამქუცმაცებელი მექანიკური დანადგარი ღირებულებით 75 487,95 (სამოცდათხუთმეტი ათას ოთხას ოთხმოცდაშვიდი ლარი და ოთხმოცდათხუთმეტი თეთრი)ლარი.

ე) კომპოსტის გასაცრელი მექანიკური დანადგარი ღირებულებით 81 005,26 (ოთხმოცდაერთი ათას ხუთი ლარი და ოცდაექვსი თეთრი) ლარი.

ვ) საზოგადოების საწესდებო კაპიტალი განისაზღვრა 1 358 883.13 (ერთი მილიონ სამასორმოცდათვრამეტი ათას რვაასოთხმოცდასამი ლარი და 13 თ.) ლარით.

მუხლი 4.

საზოგადოების პარტნიორი და მისი კომპეტენცია

4.1. საზოგადოების პარტნიორია მარნეულის მუნიციპალიტეტი, რომელიც საზოგადოების 100%-იანი წილის მფლობელია.

4.2. პარტნიორს ან მის უფლებამოსილ წარმომადგენელს უფლება აქვს:

ა) მიიღოს მონაწილეობა საზოგადოების მართვაში;

ბ) მოითხოვოს საზოგადოების სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტები, გაეცნოს მათ პირადად ან დამოუკიდებელი ექსპერტის მეშვეობით, გააკეთოს დოკუმენტის ასლები.

გ) მიიღოს მონაწილეობა საზოგადოების წმინდა მოგების ან სხვა საკუთრების განაწილებაში, მის საკუთრებაში (მფლობელობაში) მყოფი წილის ოდენობის შესაბამისად;

დ) მიიღოს წლიური ანგარიშის ასლი და საზოგადოების ყველა პუბლიკაცია;

ე) შეამოწმოს წლიური ანგარიშის სისწორე და ამ მიზნით გაეცნოს საზოგადოების დოკუმენტაციას უშუალოდ ან აუდიტორის მეშვეობით და საზოგადოების ორგანოებს მოსთხოვოს განმარტებები წლიური ანგარიშის წარდგენის შემდეგ, მაგრამ ამ ანგარიშის დამტკიცებამდე, თუ აღმოჩნდება, რომ ანგარიშში არსებითი შეცდომაა, ამ ანგარიშის შემოწმების ხარჯები ეკისრება საზოგადოებას;

4.3. პარტნიორი ვალდებულია:

ა) დაიცვას საზოგადოების წესდება;

ბ) იმოქმედოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 5.

პარტნიორთა საერთო კრება

5.1. პარტნიორთა კრების ფუნქციებს ახორციელებს მუნიციპალიტეტის გამგებელი ერთპიროვნულად, საქართველოს ორგანული კანონით, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ განსაზღვრული წესით.

5.2. პარტნიორთა საერთო კრება ჩატარდება წელიწადში ერთხელ მაინც თუმცა შესაძლებელია რიგგარეშე კრების ჩატარება, რომლის მოწვევის წესი და ვადები განისაზღვრება წინამდებარე წესდების შესაბამისად.

5.3. პარტნიორთა რიგგარეშე კრება შეიძლება მოწვეული იქნეს პარტნიორის ან/და დირექტორის მიერ.

5.4. მოწვევა ხორციელდება საზოგადოების დირექტორის მიერ პარტნიორისათვის 1 (ერთი) კვირის ვადაში დაზღვეული წერილის გაგზავნით, რომელიც უნდა შეიცავდეს დღის წესრიგის პროექტს. მოწვევის მიღებიდან 3 (სამი) დღის ვადაში პარტნიორს შეუძლია ცვლილებები შეიტანოს დღის წესრიგში.

5.5. საზოგადოების კრების გადაწყვეტილებების შესახებ დგება ოქმი.

5.6. პარტნიორთა კრება იღებს გადაწყვეტილებებს შემდეგ საკითხებზე:

ა) საზოგადოების დაფუძნება, რეგისტრაცია, მიზნისა და საქმიანობის სფეროს განსაზღვრა;

ბ) დირექტორის ანგარიშის დამტკიცება;

გ) დირექტორის შრომის ანაზღაურება და მისთვის ხარჯების განსაზღვრა;

დ) დირექტორის წინადადების მიღება ან უარყოფა მოგების გამოყენების შესახებ (შეუთანხმებლობის შემთხვევაში წმინდა მოგების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად);

ე) დირექტორის წინადადების საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით წესდებაში ცვლილებების/დამატებების შეტანა;
ვ) საზოგადოების რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია;
ზ) ფილიალების შექმნა და მათი რეორგანიზაცია/ლიკვიდაცია;
თ) პროკურის გაცემა და გაუქმება;
ი)წლიური შედეგების დამტკიცება;
კ) აუდიტორის არჩევა;
ლ) საზოგადოების განვითარების ბიზნეს-გეგმის დამტკიცება;
მ) ინვესტიციების შესახებ, რომელთა ღირებულება ცალკე ან მთლიანად ერთ სამეურნეო წელიწადში აღემატება საზოგადოების აქტივების ღირებულების 5%-ს;
ნ) ვალდებულების აღება მათ შორის ქონების შეძენა, განკარგვა, გადაცემა ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის სხვა ფორმით გადაცემა, კრედიტორებს და სასესხო ვალდებულების აღება, უფლებრივად დატვირთვა;
ო) საზოგადოების მოთხოვნის უფლების გადაცემა (დათმობა), მომსახურება და სხვა მსგავსი ქმედებები.

5.7. პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებად ითვლება პარტნიორის მიერ მიღებული შესაბამისი წერილობითი გადაწყვეტილება.

მუხლი 6.

საზოგადოების დირექტორი

6.1. საზოგადოების ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა ევალება დირექტორს, რომელსაც ნიშნავს და ათავისუფლებს მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელი.

6.2. საზოგადოების დირექტორი ანგარიშვალდებულია პარტნიორის წინაშე.

6.3. საზოგადოების დირექტორი ამტკიცებს საზოგადოების საშტატო ნუსხასა და თანამდებობრივ სარგოებს.

6.4. საზოგადოებას სასამართლოში, მესამე პირებთან და სხვა ურთიერთობებში წარმოადგენს დირექტორი. დირექტორი არ შეიძლება იყოს სასამართლოში წარმომადგენელი იმ შემთხვევაში, თუ მის წინააღმდეგ სარჩელი შეტანილია ამ საზოგადოების მიერ.

6.5. დირექტორის ხელმძღვანელობით უფლებამოსილებები განისაზღვრება ამ წესდებით, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით და პარტნიორის მიერ მიღებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით.

6.6. დირექტორმა კეთილსინდისიერად და გულმოდგინეთ უნდა შეასრულოს დაკისრებული ამოცანები.

6.7. თუ დირექტორი არ შეასრულებს თავის მოვალეობას, იგი ვალდებულია აუნაზღაუროს საზოგადოებას მიყენებული ზარალი. დირექტორი პასუხს აგებს საზოგადოების მთელი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ.

6.8. დირექტორმა პარტნიორის მოთხოვნის საფუძველზე დაუყოვნებლივ უნდა მიაწოდონ მას ინფორმაცია საზოგადოების საქმიანობის შესახებ, მათ შორის მოსალოდნელი ყადაღის დადების შესახებ.

6.9. დირექტორი ვალდებულია სამსახურის დროებით გაცდენის (მივლინება, შვებულება და ა.შ.) საკითხი წერილობით აცნობოს პარტნიორს.

6.10. დირექტორი პასუხისმგებელია იმაზე, რომ საზოგადოების საბუღალტრო საქმეები და აღრიცხვა წარმოებდეს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

6.11. დირექტორი ადგენს საბუღალტრო ანგარიშს წლიური და სამეურნეო მდგომარეობის შესახებ, ასევე წმინდა მოგების განაწილების წინადადებას, რომელსაც დასამტკიცებლად წარუდგინოს პარტნიორს.

მუხლი 7.

პროკურა

7.1. საზოგადოების პარტნიორს ან/და დირექტორს უფლება აქვთ წერილობით გასცენ მინდობილობა ამა თუ იმ პირზე.

7.2. მინდობილობა შეიძლება ორ ან რამდენიმე პირს ერთობლივად მიეცეს და განისაზღვროს, რომ ისინი - ორივე ან ყველა ერთად წარმოადგენდეს საზოგადოებას (საერთო მონდობილობა).

7.3. წარმომადგენლობითი უფლებამოსილება იურიდიულ მოქმედებათა განხორციელებისას უნდა შეესაბამობოდეს მინდობილობის შინაარსს. მინდობილობის შეწყვეტისათვის აუცილებელია მისი გაუქმება ან ძალადაკარგულად აღიარება.

7.4. გენერალური სავაჭრო მინდობილობის მფლობელი პირი (პროკურისტი) რეგისტრირდება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში.

7.5. პროკურა იძლევა უფლებამოსილებას, სასამართლოში და სხვა ურთიერთობებში განხორციელდეს ყველა საქმიანობა და სამართლებრივი მოქმედება, რომელიც დაკავშირებულია საზოგადოების ფუნქციონირებასთან.

7.6. უძრავი ქონების გასხვისების ან ვალდებულებებით დატვირთვის უფლებამოსილება პროკურისტს აქვს მხოლოდ მაშინ, როცა მას ეს უფლებამოსილება სპეციალურად მიეცემა.

მუხლი 8.

საზოგადოების არსებობის შეწყვეტა

8.1. საზოგადოების არსებობის შეწყვეტა შეიძლება განხორციელდეს ორი გზით:

ა. რეორგანიზაციით (გარდაქმნა, შერწყმა, გაყოფა);

ბ. ლიკვიდაციით.

8.2. საზოგადოების ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პარტნიორი ან სასამართლო, კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

8.3. თუ საზოგადოება გადახდისუუნარო გახდება, დირექტორი ვალდებულია, ბრალეული გაჭინაურების გარეშე, მაგრამ არა უგვიანეს 3 (სამი) კვირისა გადახდისუუნარობის დადგომის დღიდან, განაცხადოს გაკოტრების საქმის აღძვრის შესახებ, რის თაობაზეც ვალდებულია 7 (შვიდი) კალენდარული დღით ადრე აცნობოს მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელს.

8.4. პარტნიორი განსაზღვრავს იმ პირებს, რომლებიც ახორციელებენ საზოგადოების ლიკვიდაციას (შემდგომში - „ლიკვიდატორი“), ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც საწარმოს ლიკვიდაციას ახორციელებს სასამართლო, „ლიკვიდატორს“ ნიშნავს სასამართლო.

8.5. პარტნიორთა გადაწყვეტილება საზოგადოების ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ უნდა დარეგისტრირდეს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. ლიკვიდაციის პროცესი დაწყებულად ითვლება მისი რეგისტრაციის მომენტიდან.

8.6. საზოგადოების ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციის მოთხოვნასთან ერთად მარეგისტრირებელ ორგანოს უნდა წარედგინოს ინფორმაცია, რომელშიც მითითებული იქნება საზოგადოების ყველა ცნობილი კრედიტორის დაკმაყოფილების ვადები.

8.7. დირექტორი ვალდებულია საზოგადოებას აუნაზღაუროს ის ხარჯები, რომლებიც გაღებულია საწარმოს გადახდისუუნარობის დადგომის დღიდან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს გამოწვეული იყო არაბრალეული ქმედებით.

8.8. „ლიკვიდატორი" ადგენს სალიკვიდაციო ბალანსს და წარუდგენს მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელს. ან შესაბამის შემთხვევაში, სასამართლოს.

8.9. „ლიკვიდატორი" ახდენს საწარმოს აქტივების (ქონების) რეალიზაციას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.10. ლიკვიდაციის პროცესი უნდა დასრულდეს საზოგადოების ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციიდან არა უგვიანეს 4 (ოთხი) თვისა, ხოლო საგადასახადო შემოწმების ვადის გაგრძელების შემთხვევაში საგადასახადო შემოწმების დასრულების შესახებ მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ ინფორმაციის მიღებიდან არა უგვიანეს 1 (ერთი) თვისა.

8.11. კრედიტორთა დაკმაყოფლების პროცესის დასრულების შემდეგ უფლებამოსილი პირი/პირები იღებს (იღებენ) გადაწყვეტილებას საზოგდოების ლიკვიდაციის დასრულების შესახებ, რომელშიც უნდა აღინიშნოს საზოგადოების ყველა ცნობილი კრედიტორის დაკმაყოფილების თაობაზე. გადაწყვეტილება წარედგინება მარეგისტრირებელ ორგანოს და იგი საზოგადოების რეგისტრაციის გაუქმების საფუძველია.

8.12 თუ საზოგადოების რეგისტრაციის გაუქმებიდან 3 (სამი) თვის განმავლობაში აღმოჩნდება, რომ ლიკვიდაციისას არ იქნა დაკმაყოფილებული კრედიტორთა ნაწილი, მათი დაკმაყოფილება მოხდება ამ მუხლის დეპონირებული თანხებიდან ან ქონებიდან. აღნიშნული 3 (სამი) თვიანი ვადის გასვლის შემდეგ, დეპონირებული თანხები ან ქონება უბრუნდება პარტნიორს.

მუხლი 9.

დასკნითი დებულებები

9.1. წესდება შედგენილია ქართულ ენაზე 3 (სამი) იდენტურ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება საზოგადოების პარტნიორთან, მეორე დირექტორთან და მესამე საქართველოს იუსტიციის სამინისიტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში.

9.2. წესდებაში ცვლილებებისა/დამატებების შეტანა დაიშვება პარტნიორის გადაწყვეტილების შემთხვევაში, რომელიც ძალაში შედის მეწარმეთა და იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ.

9.3. წესდების ყველა რეგისტრირებული ცვლილება/დამატება ავტომატურად ხდება მისი განუყოფელი ნაწილი.

9.4. თუ წესდების ერთი ან რამდენიმე დებულება (მუხლი) დაკარგავს ძალას, ეს არ გამოიწვევს წესდების გაუქმებას.

9.5. წინამდებარე წესდება ძალაში შედის მეწარმეთა და იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ.

დანართი 4

შ.პ.ს. “მარნეულის ორგანული ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმო“

საშტატო განრიგი

#	საშტატო ერთეული	საშტატო ერთეულის რაოდენობა
1	დირექტორი	1
2	ბუღალტერი	1
3	მთავარი სპეციალისტი	2
4	სპეციალისტი	1
5	დარაჯი	2